ნესტან სულავა

ნიკოლოზ გულაბერისძის სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწეობიდან

XII საუკუნის II ნახევრის საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ გულაბერისძის შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები ძალზე მწირადაა შემონახული. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა საკითხი ნიკოლოზ გულაბერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, პრობლემა კვლავ მოითხოვს გულდასმით შესწავლას, რათა დაზუსტდეს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი, განისაზღვროს მისი ადგილი საქართველოს სახელმწიფოს, ქართული ეკლესიის ისტორიაში, გამოიკვეთოს მისი წვლილი ქართული მწერლობის ისტორიაში. ქართული საისტორიო წყაროების ნაწილი თარიღებით რომ არ გვანებივრებს, ეს ამ შემთხვევაშიც, ნიკოლოზ გულაბერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევის დროსაც, გამოჩნდა.

საკუთარ ბიოგრაფიულ ცნობებს ნიკოლოზ გულაბერისძემ თავად გვამცნო თავისსავე თხზულებაში – **„საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“,** რომელშიც სვეტიცხოვლის ერთ-ერთი სასწაულის აღწერისას შეიტანა ეპიზოდი თავისი ბიოგრაფიიდან; მას ავტობიოგრაფიის გადმოცემის მიზანდასახულობა არ ჰქონია; ეპიზოდის მიზანი იმ სასწაულის ასახვა იყო, თუ როგორ გადარჩნენ ნიკოლოზი და მისი მხლებელი მდინარის ადიდებისას ცხოველი სვეტის სასწაულებრივი წინამძღოლობით. მწერალი მიუთითებს, რომ მისი ბიძა, მამის ძმა სვიმონი, პატრიარქობამდე არმაზში წმ. საბას მონასტერში მოღვაწეობდა. ახალგაზრდა ნიკოლოზი სწორედ თავის ბიძასთან მიდიოდა კახეთიდან არმაზში: „ჟამსა მას სიყრმისა ჩემისასა, რაჟამს-იგი ნეტარი მამისძმაჲ ჩემი სჳმონ, პირველ პატრიაქობასა მისისა, მონასტერსა შინა იყო წმიდისა საბასსა არმაზს, მაშინ უკუე მე კახეთით მოვიდოდე მის წინაშე“... (გულაბერისძე, 2007:53). სასწაულში მოგვთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაიყვანა არმაზს

მიმავალი სრულიად ახალგაზრდა, სიყრმის ასაკში მყოფი ნიკოლოზ გულაბერისძე ზეცად აღწეულმა ცხოველმა სვეტმა სოფელ წიწამურთან („სოფელსა მას მახლობელსა არაგვსასა წიწამურს“ – გულაბერისძე, 2007:53) ადიდებული არაგვის ერთი ნაპირიდან მეორეზე თავის თანმხლებ პირთან ერთად, რომელიც ღვინით დატვირთულ ცხენს მიუძღოდა. ეს ეპიზოდი სვიმონისა და ნიკოლოზის ცხოვრებამოღვაწეობის წლების განსაზღვრაში გვეხმარება, რისთვისაც ამოსავალია ფრაზა „პირველ პატრიაქობასა მისისა“, რომელიც გულისხმობს, რომ ეს ამბავი სვიმონის პატრიარქობამდე მომხდარა. აქ „პირველ“ „ადრე“-ს ნიშნავს. ეპიზოდის მიხედვით, ნიკოლოზი, ჯერ კიდევ ყრმა, ე. ი. 16-18 წლისა, გაგზავნეს მცხეთაში, არმაზში, ბიძასთან. სვიმონი 1125 წლისთვის ჩანს კათოლიკოს-პატრიარქად, ე. ი. ეს ამბავი 1125 წლამდეა მომხდარი. აქედან გამომდინარე, ნიკოლოზი უნდა დაბადებულიყო 1107-1109 წლებში. თამარის მეორედ გამეფებისას იგი დაახლოებით 75-76 წლისა იქნებოდა; როგორც კ. კეკელიძე უთითებს, იგი გარდაცვლილი ჩანს 1190 წლისთვის, როდესაც არაუმეტეს 85 წლისა იქნებოდა, რაც სავსებით ბუნებრივი და დასაშვებია.

ამრიგად, სვიმონი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გამხდარა ნიკოლოზის სიყრმის წლებში, რადგან ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში იგი 1125 წლისთვის უკვე კათოლიკოსად მოიხსენიება. ეპიზოდი მოწმობს, რომ, ერთი მხრივ, ნიკოლოზის მიმართ ბიძამისი სვიმონი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, მეორე მხრივ, ოჯახიც ყურადღებით ექცეოდა სვიმონს, ხოლო ბიძა-ძმისწულს თბილი, სულიერი ურთიერთობები ჰქონიათ. უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებაში ეს ეპიზოდი, როგორც სხვა რამდენიმე ეპიზოდი, სრულიად დამოუკიდებელი თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს.

სვიმონის შესახებ ცნობა დაცულია დავით აღმაშენებლის „ცხოვრებაში“, სადაც დავითის მიერ 1124 წელს შარვანის აღებასთან დაკავშირებით იგი მოიხსენიება: შარვანში „დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-

ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თუსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“ (ქართლის ცხოვრება, 1955:345; დავითის ცხოვრება, 1992:197); სვიმონი იმ დროს ბედიელ-ალავერდელი ყოფილა, დავით აღმაშენებელმა მას მწიგნობართუხუცესობა გიორგის, თავისი ბიძის – დედის ძმის, გარდაცვალების შემდეგ მისცა, ხოლო ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი 1125 წელს გახდა. საგულისხმოა, რომ სვიმონი დავით აღმაშენებლის ანდერძშიცაა მოხსენიებული, როგორც ბედიელ-ალავერდელი. დავიმოწმებ ტექსტს: „აწ სუმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შეევედრებულ – რაოცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყვოფოდის, რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა ამითვე წესითა, სხუაჲ მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის. და თკთ ძუცლთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთა ჴელნი ვითარად ჰქონან, არცა ქართლისა კათალიკოზისა საქმე არს მღუმესა ზედა, არცა ვის სხუსა ეპისკოპოსისა, არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანისა გამგეთა; არცა მღუმისა შემდგომად ვის აქუს ჴელმწიფებაჲ, არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთაჲ თანა ვის საქმე უც“ (სილოგავა, 2010:114-116).

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი დათარიღებულია 1124 წლის სექტემბრით, რაც მნიშვნელოვანია სვიმონის მწიგნობართუხუცესობის თარიღის განსაზღვრისათვის. ანდერძში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ფრაზას: **„და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა ამითვე წესითა, სხუაჲ მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის“**, სადაც ჩანს, რომ, ერთი მხრივ, აქ წამოწეულია მწიგნობართუხუცესისა და შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, მეორე მხრივ, ისიც ჩანს, რომ ანდერძის შედგენის დროისათვის სვიმონი უკვე იყო მწიგნობართუხუცესი. იმ დროს თუ სვიმონი მწიგნობართუხუცესი არ იქნებოდა, რატომ მიმართავდა მეფე დავით აღმაშენებელი ბედიელ-ალავერდელ სვიმონს, ჰქონდა ამ თანამდებობის მქონე სასულიერო პირს იმის უფლება, რასაც სვიმონს ავალებს მეფე? აქ ნათქვამი – „სხვაჲ მწიგნობართუხუცესი იყოსო“, სვიმონის შემდეგ-დროინდელი, სხვა მწიგნობართუხუცესის შესახებ საუბარს მოწმობს; ამ წინადადებით მეფემ პირდაპირ მიუთითა იმ ხა-

ნებში სვიმონის მწიგნობართუხუცესობა. აქედან გამომდინარე, სვიმონი მწიგნობართუხუცესი იყო დავითის სიცოცხლეში, ანდერძის შედგენის დროისათვის, 1124 წლის სექტემბრისთვის, თუ ანდერძის შედგენის თარიღის ვ. სილოგავასეულ თვალსაზრისს გავიზიარებთ.

ნიკო ბერძენიშვილისა და მარიამ ლორთქიფანიძის დაკვირვებით, „ნიშანდობლივია თვით ამ სვიმონის ბედიელ-ალავერდელობაც, რადგან ერთი პირის ხელშია გაერთიანებული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორეული (ბედია, ალავერდი) კათედრები, რაც დავითის გამაერთიანებელი პოლიტიკის ერთ-ერთი აშკარა გამოვლინებაა“ (ლორთქიფანიძე, 1979:218-219; იხ. აგრეთვე: ბერძენიშვილი, 1974:29, 90). სვიმონი კათოლიკოს-პატრიარქი გახდა 1125 წელს, რადგან ამ დროიდან მოიხსენიება იგი ამ თანამდებობაზე. მისი კათოლიკოს-პატრიარქობა XII საუკუნის II მეოთხედითაა დათარიღებული, ზუსტი წლები არაა დადგენილი. სვიმონის შემდეგ, დემეტრე მეფის დროსვე, 40-50-იანი წლების მიჯნაზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გამხდარა საბა II, რომლის შემდეგ ჩანს საკათალიკოსო ტახტზე ნიკოლოზ გულაბერისძე, სვიმონის ძმისწული. სვიმონი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დისწული იყო, ხოლო ნიკოლოზ გულაბერისძე სვიმონის ძმისწული. ნათლად ჩანს, რომ ისინი სამეფო ოჯახის ახლო წრის წარმომადგენლები იყვნენ. ასე გადაიკვეთა სამი უდიდესი სასულიერო პირისა და სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზები.

როდის უნდა ემოღვაწა ნიკოლოზ გულაბერისძეს?

თედო ჟორდანიამ თავის შედგენილ „ქრონიკებში“ თავისი მოსაზრება გამოთქვა ნიკოლოზის მოღვაწეობისა და საქმიანობის შესახებ „ქართლის ცხოვრებისა“ და ათონის მონასტრის ისტორიულ-დოკუმენტური წყაროების საფუძველზე. მისი შეხედულებით, ათონის ქართველთა მონასტრის საადაპე წიგნი მეტად საინტერესო წყაროა ნიკოლოზ გულაბერისძის კათოლიკოსობისა და მისი ცხოვრების წლების განსაზღვრისათვის. მან ყურადღება მიაქცია ადაპთა წიგნში მოხსენიებულ ფაქტს პავლეს წინამძღვრობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით 1170 წელს „პავლე წინამძღვრად დამჯდარა, ხოლო თამარის მეფობაში მეორე

ინდიქტიონი მოდიოდა 1184 და 1199 წ., ამნაირად პავლეს წინამძღვრობა 1179-1199 წ., ანუ 1170-1184. მაშასადამე კ~ზი ნიკოლოზი იერუსალიმს წასულა 1170-1181 წლებში, (ქ-ცხ., 280); სვიმონ ჭყონდიდელისაგან (იგი ჩანს 1125 წლის ახლო ხანში, ქ-ცხ. I, 252) აღზრდილი ნიკოლოზი დიად მოხუცი იქნებოდა 1184 წელს და დიდხანს ვერ იცხოვრებდა" (ქრონიკები, 1892:271). ძმების ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილების მოსაზრებით, ნიკოლოზი კათოლიკოსად უნდა ყოფილიყო 1149-1160 წლებში. თუმცა, ამ მოსაზრების ავტორებს შესაბამისი დამადასტურებელი წყაროები არ დაუსახელებიათ (გულაბერისძე, 1908: 8; კარბელაშვილი, 2011:59-61).

ივანე ჯავახიშვილმა „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის" 1921 წლის გამოცემის მეორე ნაწილისათვის დაწერა გამოკვლევა „ნიკოლაოზ კათალიკოსი", რომელიც 1956 წელს გამოქვეყნდა მისსავე კრებულში „ძველი ქართული ენისა და მწერლობის საკითხები". მასში განიხილა ნიკოლოზ გულაბერისძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, „საკითხავის" ტექსტის მიხედვით წარმოაჩინა ნიკოლოზის ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი და დასვა კითხვა, არის თუ არა ეს ნიკოლოზი თამარის თანამედროვე ათონზე ნამყოფი მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე, რაც ათონის მონასტრის სკრიპტორიუმში დაცული საბუთების მიხედვით შეიძლება გაირკვეს და რაც მან შემდგომი კვლევის საგნად დასახა (ჯავახიშვილი, 1977:396-397). აგრეთვე, მან განსაზღვრა თხზულების დაწერის მიზანდასახულობა, საკითხი საქართველოში ქალის მისიის შესახებ, ამ საფუძველზე ყურადღება გაამახვილა წმ. ნინოს ცხოვრებისა და მისი მისიონერული მოღვაწეობის პრობლემატიკაზე, საგანგებოდ წინ წამოსწია სვეტი ცხოველისა და სვეტიცხოვლის ტაძრის მნიშვნელობა; განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქცია ისტორიის ფილოსოფიის არსის გარკვევა, ე. ი. კვლევა წარმართა ფაქტებისა და მოვლენების არა მხოლოდ აღმწერლობითი//მომთხრობელობითი, არამედ ძიებით-ფილოსოფიური თვალსაზრისით. ი. ჯავახიშვილის მიერ კათოლიკოსის ბიოგრაფიის განხილვა ემყარება თვით ნიკოლოზ გულაბერისძისავე თხზულებას, რომლის მიხედვით ნიკოლოზ გულაბერისძე გიორგი მესამისა და ბურდუხან დედოფლის თანამედროვე კათოლიკოსია,

თუმცა, ნაშრომში მკვლევარი კონკრეტულ თარიღებს არ ასახელებს (ჯავახიშვილი, 1977:396-409).

კ. კეკელიძის შეხედულებით, ნიკოლოზი საქართველოს კათოლიკოსი ყოფილა 1150-1178 წლებში (კეკელიძე, 1960:318). საამისო წყაროები, ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილების მსგავსად, არც მას დაუსახელებია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი შეხედულება უფრო რეალური და მისაღები ჩანს, რადგან, თავად ნიკოლოზისავე მონათხრობით, იგი კათოლიკოს-პატრიარქი ყოფილა გიორგი მესამისა და ბურდუხან დედოფლის ზეობის ჟამს. ამას ადასტურებს მის თხზულებაში დაცული ცნობა, რომლის თანახმად, ნიკოლოზ გულაბერისძე საკუთარ თავს ბურდუხან დედოფლის თანამედროვე კათოლიკოსად მოიხსენიებს. ამასთან დაკავშირებით იგი იხსენებს ეპისკოპოსთა კურთხევის წესს და მოგვითხრობს ამ წესის დარღვევის ერთ შემთხვევას კათოლიკოსად მოღვაწეობის პერიოდიდან. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, თვით ნიკოლოზის მოღვაწეობის დასათარიღებლად და მისი პიროვნების შესაფასებლად, მეორე მხრივ, გვაცნობს ეპისკოპოსთა კურთხევის წესის აღსრულების პირობებს.

ქართველ მღვდელთმთავართა მიერ დადგენილი საეკლესიო კანონით, საქართველოში ეპისკოპოსთა კურთხევის ადგილად **სვეტიცხოვლის ტაძარი, უფლის კვართის სამკვიდრებელი**, იყო დადგენილი[7]. ნიკოლოზ გულაბერისძე გვიამ-

---

[7] „ეპისკოპოსის კურთხევის წესში" წერია: „თუნიერ მცხეთისა დიდისა სამოციქულოსა ეკლესიისა ყოვლითურთ დაყენებულ არს ჭელისდასხმაჲ მღდელთმთავრობითი სხუასა ეკლესიასა შინა; ხოლო თუ სადმე იკადრის ვინ გარდასლვად კანონისა ამის ჩუენისა, ჭელისდამსხმელიცა იგი კრებაჲ და ჭელთდასხმულიცა იგი განკუეთილ არნ" (ეკლესიის კალენდარი... 1976:73). იქვე, სქოლიოში გაკეთებულია გამომცემლის შენიშვნა, რომელიც გვამცნობს, რომ ერთხანს (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე) სამღვდელთმთავრო ქიროტონიის წესი თბილისის სიონის ტაძარშიც სრულდებოდა, რადგანაც საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს 1921 წლის 18 ოქტომბრის დადგენილებით დახსნილ და დაყენებულ იყო ზემოხსენებული წესები, და სამღვდელთმთავრო ქიროტონიის შესრულება მცხეთის სვეტიცხოვლის გარეთ – სხვა საკათედრო ტაძრებშიც იქნა დაშვებული. კათოლიკოსად კურთხევა კი უთუოდ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში უნდა შესრულებულიყო (იხ.: აგრეთვე: ტიპიკონი, 2006:89).

ბობს, რომ მას კათოლიკოსად არჩევისთანავე გამოუკითხავს ეპისკოპოსთა კურთხევის ამბები და აღმოუჩენია, რომ მისი კათოლიკოსად კურთხევისას სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე ეპისკოპოსი უკურთხებელი ყოფილა. მას გადაუწყვეტია მათი კურთხევა ეპისკოპოსად და, როგორც წესი მოითხოვდა, უკურთხებია კიდეც მთავარ ეკლესიაში, ე. ი. სვეტიცხოვლის ტაძარში. მხოლოდ „მროვლისა ებისკოპოსისა ტიმოთეს“ კურთხევის წესი დაურღვევია „ზამთრისაცა სასტიკებისაგან და დედოფლისაცა იძულებითა“ (გულაბერისძე, 2007:56), – როგორც ჩანს, რუისის მონასტერს ბურდუხან დედოფალი მეურვეობდა, – მიუხედავად საუკუნეების მანძილზე დაკანონებული წესისა, და თავის ეკლესიაში, ე. ი. საკათალიკოსო კარის ეკლესიაში[8], უკურთხებია, ნაცვლად „კათოლიკე ეკლესიისა“, ე. ი. სვეტიცხოვლის ტაძრისა. ყოველივე ამის შესახებ თავად ნიკოლოზ გულაბერისძე მოგვითხრობს, რისთვისაც დავიმოწმებთ ტექსტს „საკითხავიდან“: „ერთი მათთანა ებისკოპოსი უკურთხებელი იყო რუისისა საყდრისად, ხოლო საყდრისა მის ზრუნვად და საურავი ჭელ-ეყო დედოფალსა ბურდუხანს. ხოლო ვითარცა არს წესი და ჩუეულებად დასაბამითგან ამის კათოლიკე ეკლესიისა, არადვე მე ეგრეთ მომიჭდა მის მროვლისა ებისკოპოსისა ტიმოთეს კურთხევად ზამთრისაცა სასტიკებისაგან და დედოფლისაცა იძულებითა, არამედ წინაუკუმო ვყავ, რამეთუ თჳთ თავისა საყდარსა შინა ვაკურთხე დედოფლისაცა ხუაიშნითა და მიზეზითა ზამთრის სიმძჳნვარისაჲთა, რამეთუ წესი და ჩუეულებად ამის კათოლიკე ეკლესიისად ესრეთ ყოფილ არს დასაბამითგან, რადთა კურთხევადნი ებისკოპოსნი წინაშე სუეტისა ცხოველისა მოვიდოდიან და აღთქუმასა ჰყოფდინ მრავლისა სარწმუნოებისათჳს და ერთგულებისათჳს კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათჳს, ვიდრე სისხლთა დათხევადმდეცა პატრიაქისათჳს და საღმრთოთა წესთა დაცვი-

[8] ი. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ნიკოლოზმა მროველი ეპისკოპოსი „თავადს ეკლესიაში“, ე.ი. საკათოლიკოსო კარის ეკლესიაში აკურთხა, ე. ი. „თავადს ეკლესიაში“ გაგებულია როგორც საკათოლიკოსო ეკლესია (ი. ჯავახიშვილი, 1977).

სათჳს, და ესრეთღა კურთხევაჲ ამას თავადსა საყდარსა შინა. ხოლო ესე წესი მე უკუე დავჴსენ უმეცრებითა და იმით ზემოწერილითა იძულებითა“ (გულაბერისძე, 2007:56).

როგორც დამოწმებული ეპიზოდიდან ჩანს, ნიკოლოზ გულაბერისძეს ეპისკოპოსთა კურთხევის წესი დაურღვევია. მროველი ეპისკოპოსის კურთხევის ღამესვე „ღმრთისმოყუარესა ვისმე სარწმუნოსა კაცსა“ ძილში გამოეცხადა სვეტი ცხოველი „სახედ მოხუცებულისა ბერიკაცისა მიუთხრობელითა რაჲთმე ბრწყინვალებითა“ (გულაბერისძე, 2007:56) და საქართველოს კათოლიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე საეკლესიო კანონის დარღვევაში ამხილა: „აწ რომელი-ესე ყო ნიკოლაოზ ქართლისა კათალიკოზმან, თჳნიერ წესისა და ჩუეულებისა ქმნა ესე კურთხევაჲ, აწ სულგრძელებით თავსმიც უმეცრებისათჳს თქუენისა და თანა-წარჴდი კაცთმოყუარებით აწინდელსა ცოდომასა, ხოლო კუალად ნუმცაღა ოდენ კადნიერებულ არს, რაჲთამცა ებისკოპოსი, თჳნიერ საყდრისა ჩემისა, გარეთ იკურთხა და დიდებაჲ სახელისა ჩემისაჲ კიდე-განგებულ იქმნა, ანუ ვითარ ჰგონებთ შეურაცხებასა საყდრისა ჩემისასა დუმილით თანაწარჴდასა, ესე უწყოდეთ, რომელ ამიერითგან არღარა ოდეს დავიდუმო და არცა თავს-ვიდვა ყოველთა ამის საქმისა მკადრებელთათჳს“ (გულაბერისძე, 2007:56-57).

დამოწმებული ტექსტი ადასტურებს, თუ როგორ განუცდია ნიკოლოზ გულაბერისძეს ეპისკოპოსთა კურთხევის წესის დარღვევასთან დაკავშირებული ჩვენება, ღმერთმა მას ამჯერად მიუტევა, მაგრამ გააფრთხილა, რომ სხვა დროს არ დაერღვია იგი, წინაადმდეგ შემთხვევაში, დაისჯებოდა. ეს ფაქტი ნიკოლოზს წარმოაჩენს იმგვარ ღრმადმორწმუნე და ღვთისმოშიშ პიროვნებად, რომლისთვისაც ყოველი საღვთისმსახურო წესის აღსრულება კანონი იყო. ნიკოლოზ კათოლიკოსი თვითონვე აღიარებს საეკლესიო წესის დარღვევას და ამით იმასაც მიგვანიშნებს, რომ ვინც არ უნდა იყოს წესდების დარღვევის ინიციატორი, თუნდაც დედოფალი, სახელმწიფოს პოლიტიკური წრეებისა თუ სასულიერო წოდების უმაღლესი იერარქი, საღვთო წესების დარღვევა დაუშვებელია, ვინაიდან საღვთო წესები სულიწმიდის მეშვეობით ეძლევა და ღმერთის მიერაა დადგენილი. სა-

ქართველოს კათოლიკოსი აღიარებს თავის შეცდომას, ცოდვად აღიქვამს მას და ჩვენების ხილვით გვამცნობს, რომ ამიერიდან აღარ დაარღვევს საეკლესიო კანონებს. ამ ფაქტით ნიკოლოზ გულაბერისძემ ისიც აჩვენა, რომ კათოლიკოსი თავად უნდა ყოფილიყო საეკლესიო კანონმდებლობის დაცვის გარანტი და სხვებისგანაც უნდა მოეთხოვა ერთხელ დადგენილი წესების დაცვა. ამ ეპიზოდით კათოლიკოსის ფსიქოლოგიური სახეც იკვეთება.

ნარატიული წყაროები, ისტორიული დოკუმენტები მიუთითებენ, რომ ნიკოლოზი კათოლიკოსობიდან გადადგა, რის შემდეგაც იგი ჯერ ათონზე, შემდეგ იერუსალიმს წასულა. თამარის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე უსათნოესი და ღვთაებრივი თვისებების მქონე პიროვნება ყოფილა. ამიტომ ძნელდება იმ კონკრეტული მიზეზის დადგენა, რამაც აიძულა იგი, გადამდგარიყო კათოლიკოსობიდან. ბასილი ეზოსმოძღვარმა აღნიშნა: „რომელსა სიმდაბლისა ძლითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან“. ეს ერთადერთი ფრაზაა, რომელიც ნიკოლოზის კათოლიკოსობიდან გადადგომას გვამცნობს. ხოლო რას გულისხმობს ეს სიმდაბლე, ბოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ფაქტი დემნა ბატონიშვილის აჯანყებასა და მამისავე სიცოცხლეში თამარის გამეფებას უკავშირდება, რაც გაზიარებულ იქნა. ნიკოლოზის კათოლიკოსად მოღვაწეობის დროინდელი ისტორიული რეალიების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ მისი გადადგომა უკავშირდება 1177 წლის დემნა ბატონიშვილის აჯანყებას, ამის შემდეგ მოწვეულ საეკლესიო კრებას, რომელზეც სამეფო ტახტის მემკვიდრის, თამარის გამეფების საკითხი უნდა განხილულიყო.

ზემოთ აღინიშნა, რომ საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ზუსტ მითითებას კათოლიკოსის გადადგომის მიზეზის შესახებ ვერ ვხვდებით. პრობლემაზე მსჯელობისათვის გასათვალისწინებელია კათოლიკოსის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, როლი და ფუნქცია; **კათოლიკოსი ერის სულიერი წინამძღოლია, ამავე დროს, იგი სახელმწიფო მოღვაწეა.** ზემოთ დავიმოწმეთ ნიკოლოზ გულაბერისძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ ივანე ჯავახიშვილისეული შეფასება. მისი მსჯელობა „ქარ-

თლის ცხოვრებისა“ და სხვა დოკუმენტური წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით ორიენტირად გვევლინება პრობლემის არსის გასარკვევად (ჯავახიშვილი, 1977:396-409).

გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია კათოლიკოსის წოდების მქონე სასულიერო პირთა ადგილის განსაზღვრა და მისი არსის, მისი მიმართების დადგენა-დაზუსტება ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობასთან. საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, ძირითადად ეს შეეხება პერიოდს დავით აღმაშენებლის მეფობიდან XIII საუკუნის დასასრულამდე, კათოლიკოს-პატრიარქისა და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სტატუსის, ადგილისა და როლის განსაზღვრა სამეფო ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოგვიჩენს ნიკოლოზ გულაბერისძის სტატუსსა და ფუნქციას თავისი თანამედროვე საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, დაგვეხმარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ადგილის დადგენაში. საისტორიო წყაროების მიხედვით, X საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სულიერი წინამძღვრები, უპირველესი მღვდელთმთავრები უკვე კათოლიკოს-პატრიარქებად მოიხსენიებიან[9], რითაც ამ ტიტულის მქონეთა სტატუსი და უფლებამოსილებები განისაზღვრება. XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის დასაწყისშივე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა, როდესაც საერო თანამდებობა მწიგნობართუხუცესისა და სასულიერო წოდების თანამდებობა ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსისა გააერთიანა. ამის შედეგი ის იყო, რომ, ფაქტობრივად, მეფის შემდეგ სახელმწიფოში ყველაზე დიდი თანამდებობა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა იყო, რომელზეც სასულიერო პირები ინიშნებოდნენ. თუმცა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს სასულიერისთან ერთად საერო საქმიანობის წარმართვა უწევდა. ხშირად მხედართმთავრის ფუნქციაც ეკისრებოდა.

---

[9] X საუკუნეში, საქართველოში დავით კურაპალატის ზეობის ხანაში, მღვდელთმთავარი იოანე I ოქროპირი პარხლის ტაძრის წარწერაში პირველადაა დამოწმებული პატრიარქის ტიტულით (980-1001). ესაა საქართველოს კათოლიკოსის აქამდე ცნობილი უძველესი დასახელება პატრიარქის ტიტულით (თაყაიშვილი, 1960; სილოგავა, 2003: 298-303).

შ. მესხიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მეფის ვაზირი, როგორც საეკლესიო ხელისუფალი (ჭყონდიდელი ეპისკოპოსი), უმემკვიდრო იყო და საკუთარი სამკვიდრო ქონების უქონელიც“ (მესხია, 1986:31), რის გამოც მას ვერ ექნებოდა სხვა თანამდებობებისათვის დამახასიათებელი ფეოდალური მიკერძოებები, მემკვიდრეობითობა, სიმდიდრისაკენ ლტოლვა. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი საერო და სასულიერო მიმართულებით იკავებდა თანამდებობას, რომლის შინაარსის გათვალისწინება მიგვითითებს კათოლიკოს-პატრიარქზე მის აღმატებულობას, რადგან კათოლიკოს-პატრიარქს საერო საქმეში ჩარევა და წარმართვა არ ხელეწიფებოდა. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები „სამეფო ოჯახის უახლოესი ვასალური წრიდან იყვნენ, მათთან „გაზრდილ-გამზრდელობით“ (გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემთხვევაში, ნათესაობითიც) დაკავშირებულები ჩანან“ [10] (სურგულაძე, 2012:160; იხ. აგრეთვე: ანთელავა, 1983:105-107). ეს ყველაზე ნათლად გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მოღვაწეობიდან ჩანს [11], რასაც მის მიერ საომარი ოპერაციების წარმართვა მოწმობს. ეს ტენდენცია გიორგი მესამისა და თამარის ეპოქაშიც გრძელდებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია, თუ როგორი იყო კათოლიკოს-პატრიარქისა და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისადმი მეფის დამოკიდებულება, მიმართება ამ ორ თანამდებობას შორის, მათი სტატუსი და იურისდიქცია. „დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის რანგში არ აამაღლა საქართველოს ეკლესიის მეთაური – ქართლის კათოლიკოსი, როცა ბიზანტიური გამოცდილების გათვალისწინებით ფორმალურად ეს მოსალოდნელი იყო.

---

[10] მ. სურგულაძის დაკვირვებით: „ჩვენთვის ცნობილ წყაროთა მიხედვით, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები მუდამ დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიულ საგვარეულოებს (მაგ., ქვაბლისძე, გლონისთავისძე) ეკუთვნოდნენ“ (სურგულაძე, 2012:160).

[11] სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ პირველი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო დავით აღმაშენებლის „ძლიერ ახლობელი, მისი „თანააღზრდილი და გამზრდელი“, დიდი სახელმწიფო მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელი“ (მესხია, 1986:31-32; ლორთქიფანიძე, 1979:218), რაც გაზიარებული მოსაზრებაა.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესზე არჩევანის შეჩერებით მეფემ მოახერხა შეეკვეცა ქართლის კათალიკოსის საეკლესიო ადმინისტრირების უფლება და, როგორც ჩანს, საგადასახადო იმუნიტეტიც, რომლითაც, როგორც მელქისედეკის დაწერილიდან და სხვა მოღწეული საბუთებიდან ვიცით, საქართველოს ეკლესია-მონასტრები ფართოდ სარგებლობდნენ (აქ მ. სურგულაძესთან მითითებულია „ძველი ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, 1984, გვ. 27 – ნ. ს.). ამ ღონისძიებით მეფემ ეკლესია მთლიანად სამეფო ხელისუფლების კონტროლქვეშ მოაქცია და ცენტრალიზმის იდეას დაუმორჩილა“ (სურგულაძე, 2012:159). მ. სურგულაძის ეს მოსაზრება უაღრესად მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სიახლოვე სამეფო ოჯახთან ამ თანამდებობაზე მისი არჩევის მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია ნიკოლოზ გულაბერისძის პიროვნების სრულყოფილად წარმოსაჩენად, აგრეთვე, კათოლიკოსობიდან მისი გადადგომის მიზეზების ასახსნელადაც.

ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამიტომაა აუცილებელი იმ ფაქტების გახსენება, თუ როგორ და რა ვითარებაში გამეფდა გიორგი მესამე, რასაც ლოგიკურად უკავშირდება მისი ძმისწულის აჯანყების მიზეზების მოძიებაც. თუ მიუდგომლად გავაანალიზებთ დემნას აჯანყებასთან დაკავშირებულ ამბებს, მართალია, დავინახავთ სამართლებრივ გადაწყვეტილებას, მაგრამ კანონის იმ სისასტიკესაც, რომლითაც მეფე გიორგი მესამე გაუსწორდა თავის ძმისწულს, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, მემატიანის მიერ დადებითი თვისებებით შემკულსა და გამორჩეული გარეგნობით წარმოჩენილს. თამარის ანონიმი ისტორიკოსი თავის თხზულებაში – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ – დავით მეხუთის ძეს, დავით აღმაშენებლის შვილიშვილის შვილს, მართალია, თავისი ოჯახისშვილობის ღირსეულ წარმომადგენლად მიიჩნევს: „სახე-კეთილი და ყოვლითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლისშვილობისა მათისა“ (ქართლის ცხოვრება, 1959:18), მაგრამ იმასაც დაუფარავად და სამართლიანად აღნიშნავს, რომ დემნასა და მის წინაპრებს ზოგჯერ უკანონობა და ღვთის საწინააღმდეგო საქმეც ჩაუდენიათ; აქ იგულისხმება დავით მეხუთის ამბოხი მამის წი-

ნაალმდეგ, დემეტრე-დამიანეს მეორედ გამეფება და თანამოსაყდრედ უმცროსი ვაჟის, გიორგის არჩევა, დემნას აჯანყება ბიძის წინააღმდეგ: „გარნა რომელი ცუდ იქმს ყოველთა სიკეთეთა და სწავლულებათა, სახე-უკლებობათა და ჭაბუკებათა, იგი ექმნა მკლველ და შემმწარებელ ჟამთა ცხორებისა მისისათა: უშიშობა ღმრთისა და გარდამავლობით მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა, ვითარ თანაშთამომავლობა და გუართა უბედურობა ამის სამეფოსა კაცთა“ (ქართლის ცხოვრება, 1959:18), ე. ი. ის, რაც დემნა ბატონიშვილს დაატყდა თავს, ისტორიკოსს კანონზომიერად მიაჩნია სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ ვინ, რა იდეოლოგიის მქონე მწერალი წერს ამ ისტორიულ თხზულებას! მისი ავტორი სამეფო იდეოლოგიის არამცთუ მხოლოდ მომხრე, არამედ აპოლოგეტია! იგი მეფეთა, სამეფო ტახტის მფლობელთა შესახებ წერს პანეგირიკული ხასიათის თხზულებას. რადგან უფლისწული დადებითადაა შეფასებული, ამიტომ მის თხზულებაში საუბარი დემნას გარეგნულ მშვენიერებასა და განსწავლულობაზე სავსებით ობიექტური ჩანს. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ პიროვნულად ისტორიკოსი დემნას წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ სამეფო პოლიტიკური კურსი მოითხოვდა იმგვარი აზრის გამოხატვას, რაც გამოთქმულია თხზულებაში, ხოლო მასში უთუოდ იკითხება მისი ტრაგიკული ხვედრით გამოწვეული გულისტკივილი, განცდები, რომ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის გვარჩამომავლობისათვის შეუფერებელი ამბავი ამ ოჯახში რამდენჯერმე დატრიალებულ.

ივანე ჯავახიშვილმა სახელმწიფო სამართლის პრობლემატიკის განხილვისას შეაფასა დემნას აჯანყება და განაცხადა: „1177 წელს საქართველოს ამირსპასალარი ივანე ორბელის მეთაურობით გიორგი მესამის წინააღმდეგ დიდი აჯანყება ატყდა, რომელშიაც განდგომილებმა გიორგის ძმისწული, უფლისწული დემნა გარიეს. თავდაპირველად ორბელთა საგვარეულოს გარდა ამ აჯანყებაში ბევრი დიდგვარიანი აზნაური იღებდა მონაწილეობას. ყველაზე სახიფათო ის იყო, რომ განდგომილების მოთავედ და ხელმძღვანელად საქართველოს სამეფოს სამხედრო ვეზირი, ამირსპასალარი იყო, სწორედ ის ხელისუფალი, რომელიც

ჯარს მეთაურობდა ხოლმე და საქართველოს ყოველი სამხედრო საიდუმლოება და ნაკლი კარგად იცოდა, ხოლო მონაწილეთა შორის ისეთი დიდი მოხელეები ერივნენ, როგორიცაა მეჯინიბეთ-უხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე და მრავალნი სხვანიც. გიორგი მესამე დიდ განსაცდელში ჩავარდა, ქვეყანასაც დიდი საფრთხე მოელოდა, რათგან აჯანყებულმა ამირსპასალარმა ქართლის ერისთავი და მეჯინიბეთუხუცესი სპარსეთში წარავლინა იქითგან საქართველოს მეფის წინააღმდეგ სპარსთა მეშველი ჯარის მოსაყვანად. ასეთი უკიდურესი განსაცდელის დროს თავგანწირული ერთგულება სწორედ მუდმივი ჯარის შემადგენლობითგან გამოსულმა პირმა გამოიჩინა, სახელდობრ ნაყივჩალარმა ყუბასარმა. გიორგი მესამემ აჯანყებულთ სძლია და მონაწილენი დანაშაულებისდა მიხედვით დასაჯა" (ჯავახიშვილი, 1984:109). ცხადია, სახელმწიფო სამართალი მოითხოვდა დამნაშავეთა დასჯას, ხოლო სახელმწიფოს მოღალატის სტატუსის მქონე პირთათვის სასჯელი ძალიან მკაცრი იყო და იგი აღსრულდა კიდეც. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი დემნას საქციელს, როგორც შჯულის, სამართლის დარღვევას, უწოდებს „გარდამავლობით მოქმედებას", რაც სისხლის სამართლის საქმეს განეკუთვნებოდა. ისტორიკოსი ამ ფაქტს აფასებს, როგორც „გარდამავლობითა მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათა" (ჯავახიშვილი, 1984:189)[12]. თავის მხრივ, ამ ტიპის დანაშაული, „გარდამავლობით მოქმედება" განსაკუთრებით სასტიკ სასჯელს ითვალისწინებდა.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დასჯის ფორმა და სისასტიკე, როგორ მოექცა გამარჯვებული მეფე თავის დამარცხებულ, ოდენ სიცოცხლის შენარჩუნების მავედრებელ ძმისწულს, სამეფო საგვარეულოს – სამეფო ოჯახის წარმომადგენელთაგან დარჩენილ ერთადერთ მამაკაცს, რომელმაც პრეტენზია გამოთქვა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე. დემეტრე//დემნას სამეფოდ რომ არ

---

[12] „გარდამავლობით მოქმედება" და „გარდაჭდომა" მსგავსი მნიშვნელობის მქონე იურიდიული ტერმინებია. დავით ალმაშენებელი თავის „გალობანში" იყენებს ტერმინს „გარდაჭდომას": „ბოროტად გარდაჭჭედ საზღუართა...", რასაც თავის ერთ-ერთ ცოდვად მიიჩნევს.

ამზადებდნენ, იმითაც დასტურდება, რომ იგი ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო სამეფო ოჯახისშვილზე არ დაქორწინებულა, რითაც, ფაქტობრივად, მას გზა მოეჭრა სამეფო ტახტისაკენ. მეფის ძეს, ტახტის მემკვიდრეს ცოლად უთუოდ მეფის ასული უნდა შეერთო, რადგან სამეფო ოჯახის წარმომადგენლის, განსაკუთრებით კი ტახტის მემკვიდრის ქორწინება იყო პოლიტიკური და არა გრძნობაზე დამყარებული ქორწინება (ეს პრინციპი XIII საუკუნის დასაწყისში გიორგი IV-ემ, თამარის ძემ, დაარღვია). ამასთან, ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვდა, რომ მამამისმა დავით მეხუთემ ტახტი წარსტაცა მამას – დემეტრე პირველს, დამიანეს სახელით ბერად აღკვეცილს, მომავალ მეფედ **„მარჩეველს ძისა უმრწემესისა გიორგისა“,** ხოლო უფროსი ვაჟის, დავითის, გამეფების შემდეგ ისტორიკოსმა ბიბლიური ალუზიის მოხმობით შეაფასა მონაზვნად აღკვეცილი მამის განცდები: **„მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი“** (ქართლის ცხოვრება, 1959:3).

დეტალურად არაა ცნობილი, რატომ ამჯობინებდა დემეტრე მეფე, „შენ ხარ ვენახის“ ავტორი, უმცროს ვაჟს და არ სურდა უფროსი შვილის გამეფება, რომელმაც მიმძლავრებით შეძლო მამისავე სიცოცხლეში სამეფო ტახტის დაუფლება, ისიც მხოლოდ რამდენიმე თვით. დემეტრე პირველი დამიანეს სახელით ბერად აღიკვეცა გარეჯში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში, და საერო ცხოვრებას გაეცალა. დავითის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი მის მემკვიდრეს, მცირეწლოვან დემეტრე/დემნას უნდა დაეკავებინა. მაგრამ თავისი ძის, ტახტის მიმმძლავრებლის დავით მეხუთის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ დემეტრე-დამიანე მონასტრიდან გამოვიდა, სამეფო ტახტს დაუბრუნდა და თანამოსაყდრედ აირჩია თავისი უმცროსი შვილი გიორგი მესამე, სხვა ვაჟი მას არც ჰყავდა, და არა შვილიშვილი, მცირეწლოვანი დემნა, რაც, ქართული საისტორიო წყაროთა ნაწილის მიხედვით, სამეფო ტახტის გადაცემის ლეგიტიმური წესების დარღვევა იყო, რადგან სამეფო ტახტის მემკვიდრისათვის გადაცემის ლეგიტიმური წესების გათვალისწინებით სამეფო ტახტი დემნას, დავით

მეხუთის მცირეწლოვან ძეს, ეკუთვნოდა[13]. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დემეტრე-დამიანეს მეორედ გამეფება, როგორც ჩანს, კონცეპტუალური გადაწვეტილება იყო, რადგან ეს ფაქტი საფუძველს იძლეოდა ტახტის მემკვიდრედ მისი ძე გიორგი ყოფილიყო მიჩნეული და არა შვილიშვილი. დემეტრე-დამიანე მალე, 1156 წელს გარდაიცვალა და ტახტს პოლიტიკურ გართულებათა გარეშე დაეუფლა გიორგი მესამე. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია 1177 წელს საქართველოს სამეფო კარზე დატრიალებული ტრაგედიის რაობისა და სიმწვავის შესაფასებლად. ვინ უნდა ყოფილიყო ტახტის მემკვიდრე? თამარ გიორგი მესამის ასული თუ დემნა ბატონიშვილი, გიორგი მესამის ძმისწული? ცხადია, ამას უკავშირდება თამარის გამეფებას-

---

[13] სამეფო ტახტის მემკვიდრისათვის გადაცემის ლეგიტიმური წესის გამონაკლისებზე მიუთითებს საქართველოში მომხდარი შემდეგი ისტორიული ფაქტი: X საუკუნის ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ წმ. მეფე აშოტ კურაპალატის მოღალატის მიერ მოკვლის შემდეგ მისი ვაჟები შეთანხმდნენ, რომ სამეფო ოჯახის მეთაურობა და მეფობა უნდა დაკისრებოდა უფროს და უმრწემეს ძმებზე სიბრძნით, დიპლომატიური უნარითა და ცოდნით აღმატებულ შუათანა ძმას ბაგრატს, რომელმაც, მამის მსგავსად, კურაპალატობის ხარისხიც მიიღო (ძეგლები, 1963/1964:272). საქართველოს ტახტის მფლობელნი სწორედ მისი შთამომავალნი გახდნენ; ი. ჯავახიშვილი წერს: „...უზენაესი უფლება აშოტის მთელ შთამომავლობას ეკუთვნოდა, აშოტის შვილები ერთად განაგებდნენ საქვეყნო საქმეებს... მაგრამ მაშინაც უკვე ერთი ამ სამთაგანი, სახელდობრ, შუათანა, უფროსად ითვლებოდა... შემდეგს თაობაში ერთი წევრი საგვარეულოში ყველაზე უფროსად ითვლებოდა და სანამ მეფობა დაწესდებოდა, ანუ 888 წლამდე, როგორც ჩანს, უფროსად ის იყო, ვისაც კურაპალატობა ჰქონდა. ამ უფროსს, ჯერ კურაპალატად, ხოლო მერე მეფედ წოდებულს, სხვები ემორჩილებოდნენ ვითარცა ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავი“ (ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 114). ვფიქრობ, რომ ამას საფუძვლად უნდა დადებოდა იაკობისა და მისი ძის იუდას ბიბლიური ჰიპოდიგმა; ბიბლიური იაკობის შვილთაგან გამოირჩა იუდა – იგი არაა იაკობის უფროსი შვილი, იუდას სამი უფროსი ძმა ჰყავდა: რუბენ, სვიმეონ და ლევი; მაგრამ სწორედ ის გახდა ბიბლიურ მეფეთა წინაპარი. მისი ჩამომავალია მეორე მეფე ისრაელისა დავით წინასწარმეტყველი, რომლის შთამომავლობას ხვდა წილად ისრაელის მეფობის პატივი და რომელსაც ქართული საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული წყაროები უკავშირებენ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს.

თან დაკავშირებული სირთულეები და გამეფების წინ განვითარებული მოვლენები, რადგან დემნა უფლისწულის სიკვდილის შემდეგ, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში, „საქართველოში სამეფო გვარის მამრობითი შთამომავალი აღარავინ დარჩა: გიორგი მესამეს, ქალიშვილის თამარის მეტი, არავინ ჰყოლია. აჯანყებამ გიორგი დაარწმუნა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შინაგანი უთანხმოებისა და ბრძოლისაგან უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, თუ რომ ტახტის მემკვიდრეობის საკითხი მისი სიცოცხლის დროშივე არ გადაწყდებოდა“ (ჯავახიშვილი, 1983:368)[14].

„ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ დემნას აჯანყებას ძალიან მალე მოჰყვა სასულიერო პირთა შეკრება. სამღვდელოებამ ისარგებლა ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებით და მოითხოვა ეკლესიის გათავისუფლება ბეგარისაგან. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით: „როგორც ეტყობა, სამღვდელოებასა და ბერებს მოუფიქრიათ, რომ ამაზე მარჯვე დროს მალე ვერ მოესწრებოდნენ, და თავიანთთვის შეღავათის მისაღებად და შეუვალობის კვლავ მოსაპოებლად შეერთებული ძალით შებრძოლება და მეფისათვის სათანადო მოთხოვნის წარდგენა გადაუწყვეტიათ. სწორედ „ამის მიზეზისათჳს შეკრბეს ყოველნი... მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარნი და ყოველი მეუდაბნოენი“ და გიორგი მესამეს ეკლესიის „გაჭირვებული“ (იგულისხმება ეკონომიური მდგომარეობა – ნ. ს.) მდგომარეობის გარემოება მოახსენეს, თანაც „ყოვლისა ბეგარისა უსამართლოჲსა და დაჭირებულისაგან ხსნაჲ და განთავისუფლებაჲ“ სთხოვეს“ (ჯავახიშვილი, 1984:110). როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს და მის საფუძველზე ი. ჯავახიშვილი ასკვნის, მეფემ დიპლომატიური გადაწყვეტილება მიიღო, შეეცადა „თავისი თანხმობა

---

[14] ამ პრობლემატიკის შესახებ საკმაოდ მდიდარი უცხოური საისტორიო წყაროები არსებობს, მაგ., სომხური, ბიზანტიური, არაბული, სპარსული (მხითარ გოში, სტეფანოს ორბელიანი, ვარდანი...), რომელთა განხილვისა და დამოწმების აუცილებლობა ჩვენი მიზანდასახულობა არ არის. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი აქტიურადაა გამოყენებული და შესწავლილი.

ნებაყოფლობითად მოეჩვენებინა და უსიამოვნო მარცხი დიპლომატიური ენამოქარგულობით დაეფარა“ (ჯავახიშვილი, 1984:110). ამიტომ მან დაიმოწმა ერთ-ერთი სიგელიდან გიორგი მესამის სიტყვები, რომლის მიხედვით, ასეთი შეთქმულების დაძლევის შემდეგ საჭირო იყო ღმერთისთვის „სამადლობელი“ მიერთმია და ეკლესია ამიტომაც გაათავისუფლა გადასახადებისაგან (სამართლის ძეგლები... 1964:24). ტექსტი იმასაც მიუთითებს, რომ ეკლესია მატერიალურად საკმაოდ შეჭირვებული იყო და გიორგი მესამემ ამ გადაწყვეტილებით, მისი აღსრულებით სასულიერო წოდების წარმომადგენლების, მთელი საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვა და თანაგრძნობა დაიმსახურა.

საისტორიო წყაროები არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ ვინ იყო თამარის მეფედ პირველი კურთხევის წინა ხანებში საქართველოში კათოლიკოსი, ნიკოლოზ გულაბერისძე თუ მიქაელ მირიანის ძე. კათოლიკოსი სახელის მოუხსენიებლადაა დასახელებული. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე ბურდუხან დედოფლის თანამედროვე კათოლიკოსი იყო, რასაც მოწმობს მისი „საკითხავის“ ტექსტი (გულაბერისძე, 2007:53). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვაუწყებს, რომ ბურდუხან დედოფალი დემნას აჯანყების, მისი ჩახშობის, საეკლესიო კრებისა და თამარის პირველი გამეფების შემდეგ მალე გარდაიცვალა. არც ამ შემთხვევაშია საქართველოს კათოლიკოსი სახელით მოხსენიებული. გიორგი მესამის გარდაცვალებისას, – იგი გარდაიცვალა კახეთში, სტაგირს, 1184 წლის 27 მარტს, – კათოლიკოსი იყო მიქაელ მირიანის ძე, რომელსაც ისტორიკოსი გიორგის თბილისს წასვენებასა და დასაფლავებასთან დაკავშირებით ახსენებს. ამ დროს ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმში იმყოფებოდა. როგორც ელ. მეტრეველმა ათონის მონასტრის აღაპთა წიგნზე დაყრდნობით გაარკვია, იგი იერუსალიმს წასვლამდე 4-5 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ათონის ქართველთა მონასტერში, სადაც 1178 წელს მისულა, ე. ი. თამარის პირველი, მამის სიცოცხლეშივე გამეფების წელს. ისიც ცნობილია, რომ, ქართველ მეფეთა კურთხევის ტრადიციის კვალობაზე, რომელიც ითვალისწინებდა მეფისათვის გვირგვინის დადგმას ქუთათელი ეპისკოპოსის მიერ, თამარს გვირგვინი ანტონ ქუთათელმა დაადგა

(ქართლის ცხოვრება, 1959:26-27). ნახსენები არ არის კათოლიკოსი. ზემოთ მივუთითეთ, პ. და ვ. კარბელაშვილების აზრით, ნიკოლოზი კათოლიკოსად ყოფილა 1149-1160 წლებში, რასაც მართებულად ვერ მივიჩნევთ. ამასთან დაკავშირებით გასაზიარებელია კორნელი კეკელიძისა და ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება. დასანანია, რომ ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში ფაქტები ქრონოლოგიურად არაა მითითებული, საორიენტაციოა მხოლოდ ბურდუხან დედოფალი, რომელიც იხსენიება როგორც ნიკოლოზისათვის ძალზე პატივსაცემი პიროვნება, რაც მოსალოდნელიც იყო. ბურდუხან დედოფალი, გიორგი მესამის მეუღლე, გარდაცვლილი ჩანს 1177 წლის დემნას აჯანყების ჩახშობისა და თამარის მამისავე სიცოცხლეში, 1178 წელს, გამეფების შემდეგ. ზოგი მეცნიერი ბურდუხან დედოფლის გარდაცვალების დროდ დაახლოებით 1179-1181 წლებს ვარაუდობს.

ნიკოლოზი თამარის გამეფების მომხრე რომ იყო, ორი რამ მოწმობს: 1. იგი მაშინვე დაბრუნდა საქართველოში, როგორც კი თამარს დასჭირდა და მოიხმო სასულიერო და სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად; 2. მის თხზულებაში საგანგებოდაა დასმული დედათა ფუნქციისა და როლის საკითხი საქართველოს ისტორიაში, რასაც ადასტურებს თხზულებისავე დედაარსი, მწერლის მთავარი სათქმელი: მას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმ. ნინოს, ვითარცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონაცვლის, ხატება და შესხმა წარმართავს. ამიტომ თამარის მეფობის მომხრე ნიკოლოზს რაღაც სხვა რამ მიზეზი უნდა ჰქონოდა კათოლიკოსობიდან გადადგომისათვის.

კ. კეკელიძემ ნიკოლოზ გულაბერისძის კათოლიკოსობა 1150-1178 წლებით დაათარიღა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დათარიღების საფუძველი არ დაუსახელებია (კეკელიძე, 1960:318). ი. ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო პრობლემას, მისი მსჯელობის მიხედვით, „ნიკოლოზის გადადგომა ან 1177 წლის საეკლესიო კრებასთან, ანდა 1178 წ. თამარის თანამოსაყდრედ დასმასთან უნდა იყოს დაკავშირებული. უკანასკნელ შემთხვევაში ნიკოლოზის გადადგომა უნებლიეთი უნდა ყოფილიყო, რომ გავლენიანი მიქაელ დაჯილდოვებული ყოფილიყო. მერმინდელი ამბებითგან ირკვევა, რომ ნიკოლოზი და მიქაელი მეტოქეები და ერთმანეთის

მტრები უნდა ყოფილიყვნენ, და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნიკოლოზს მარტო „სიმდაბლის ძლით“, ანუ თავმდაბლობით არ უნდა ჰქონოდა კათალიკოზობა მიქაელისათვის დათმობილი. აკი ისტორიკოსი მიუთითებს მიქაელის მიერ ჭყონდიდელ-მაწყვერელობისა და მწიგნობართ-უხუცესობის მოვერაგებაზე უფლისაგან ან ჟამისაგან, რაც მისი მხრიდან ყოველგვარი უკეთური საქციელის ჩადენას, მათ შორის კათოლიკოსობის მოვერაგებასაც გვავარაუდებინებს. ნიკოლოზი ქართლის სამღვდელოების მოწინავე, განათლებული და მეფეთა სოციალური პოლიტიკის დემოკრატიული მიმართულების მომხრეთა ნაწილის წარმომადგენელი ჩანს და განთქმული მწერალი და ფილოსოფოსი იყო, მიქაელი კი პირიქით, დიდგვარიან აზნაურთა იდეოლოგიის მიმდევარი და მძლავრობის მოტრფიალე, თანაც მწერლობა-მეცნიერებაში სრულებით უცნობი პიროვნება ყოფილა. **ასეთი ადამიანის გიორგი მესამის მეფობის უკანასკნელ წლებში გაკათალიკოსება ცხად-ჰყოფს, რომ დემნას აჯანყების შემდგომ მომხდარი მარცხი მეფეს ველარ გამოუსწორებია“** (ჯავახიშვილი, 1984:111-112).

ამ საკითხის შესახებ ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიაშიც“ გამოთქვა მოსაზრება ქალის გამეფების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში სამეფო ტახტზე ქალი არასოდეს მჯდარა, მახლობელი ქვეყნებისთვისაც ამგვარი მოვლენა სრულიად უცხო იყო[15]. „ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი სამზადისი სჭირდებოდა. 1178 წელს წინასწარ ნიადაგის შემზადების შემდგომ, გიორგი მესამემ სახელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა, შესაძლებელია თუ არა, რომ თამარი მას თავის თანამოსაჯდრედ დაესვა. გიორგი მეფეს თანამოსაყდრეობის წესი ამ შემთხვევაში სრულებით შეგნებულად ჰქონდა არჩეული: სანამ ის ცოცხალი იყო, მას ამ საკითხის გადაწყვეტაზე გავლენის მოხდენა შეეძლო, ხოლო ეს საკითხი რომ პირველად

---

[15] ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, თამარის გამეფებამდე საქართველოში არასოდეს მჯდარა ქალი მეფედ, მაგრამ საქართველოს დასავლეთით მდებარე ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე რამდენიმეჯერ იჯდა ქალი-იმპერატორი, დედოფალი: ირინე (780-790, 797-802), ზოია I (914-919), ზოია II (1042), თეოდორა (1042, 1055-1056), ევდოკია მაკრემვოლიტესი (1067, 1071) და სხვ.

მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ გამხდარიყო გადასაწყვეტი, დიდგვარიან აზნაურებს შეეძლოთ სრულებით დამოუკიდებლად ემოქმედნათ“ (ჯავახიშვილი, 1983:368). ჩანდა, რომ ეს რთული პრობლემა უნდა ყოფილიყო, რადგან, ერთი მხრივ, საჭირო იყო სახელმწიფო დარბაზისაგან თანხმობის მიღება, მეორე მხრივ, რამდენად იყო შესაძლებელი სრულიად ახალგაზრდა ქალისათვის, – მაშინ თამარი 10 წლამდე უნდა ყოფილიყო – სამეფოს ჩაბარება, თანაც ისეთი სახელმწიფოსი, როგორიც საქართველო იყო. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „მეფედ კურთხევის საკითხი მაშინ ორი თვალსაზრისით წყდებოდა: **ერთი სახელმწიფო თვალსაზრისი იყო, მეორე საეკლესიო-სარწმუნოებრივი. მეფის კურთხევის წესიც ორგვარი არსებობდა – სახელმწიფო-საეროცა და საეკლესიო** (ხაზგასმა ჩემია. ნ. ს.). პირველისათვის დარბაზის დასტური იყო საჭირო, მეორეს, რასაკვირველია, ეკლესიის თანხმობა სჭირდებოდა. რამდენადაც მაშინდელი წესით მეფეს, სამოქალაქო კურთხევის გარდა, მეფედ ცხება და საეკლესიო კურთხევაც სჭირდებოდა, რომ კანონიერ მეფედ ყოფილიყო ცნობილი, იმდენად, ეკლესიის დასტურის გარეშე, ქალის თანამოსაყდრედ დასმაც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა. ამგვარად, გიორგი მესამეს უნდა უნებლიედ ეკლესიის მესვეურთათვის მიემართა და ცდილიყო, რომ უპირველესად მათგან მიეღო თანხმობა, რადგან ყველაზე მეტი წინააღმდეგობა სწორედ ამ საეკლესიო წრეებიდგან იყო მოსალოდნელი“ (ჯავახიშვილი, 1983: 368).

ამ საკითხის გადაწყვეტამდე საჭირო იქნებოდა კერძო მოლაპარაკებები. ამ დროს კათოლიკოსი ჯერ კიდევ ნიკოლოზ გულაბერისძე იყო, რომელსაც საეკლესიო-სასულიერო წრეებში პროგრესულად მოაზროვნენი უჭერდნენ მხარს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნებოდა; უფრო რთული იქნებოდა რეაქციული ფრთის დაყოლიება. რეაქციულ ფრთას კი მეთაურობდა მიქაელ მირიანის ძე, რომელთანაც მისი გავლენიანობის გამო ექნებოდა მოლაპარაკება. ი. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ უცნობია, თუ რა პირობები უნდა ყოფილიყო წამოყენებული რეაქციული ფრთის მეთაურის მიერ, მაგრამ შედეგის მიხედვით შეიძლება იმის თქმა, რომ მეფე გიორგი მესამემ სასულიერო წრისაგან თანხმობა მიიღო. საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში სწორედ ამ დროს უნდა

მომხდარიყო ცვლილება, კათოლიკოსობიდან უნდა გადამდგარიყო ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელზეც ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ „სიმდაბლისა ძლით იჯმნა კათალიკოსობისაგანთ“. მის ნაცვლად კათოლიკოსი გახდა მიქაელ მირიანის ძე. ისევ ივანე ჯავახიშვილს დავიმოწმებ: „საფიქრებელია, ეს ჯილდო (მიქაელ მირიანის ძეს) იმ მომხრეობისა და იმ ღვაწლისათვის უნდა ჰქონდეს მიღებული, რომელიც მას გიორგი მესამის წინაშე მიუძღოდა საეკლესიო კონსერვატიულ წრეებში თამარის თანამოსაყდრეობის საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებით“ (ჯავახიშვილი, 1983:368).

ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება, შეიძლება ითქვას, კონცეპტუალურია ნიკოლოზ გულაბერისძის კათოლიკოსობიდან გადადგომის მიზეზის გამოსარკვევად, აგრეთვე, მიქაელ მირიანის ძის გაკათოლიკოსების დეტალების აღსადგენად. როგორც ჩანს, მიქაელ მირიანის ძე გიორგი მესამეს მხარში ედგა დემნა ბატონიშვილის აჯანყების ჩახშობასა და შემდგომ განსაკუთრებული სისასტიკით მის დასჯაშიც. ისეთი განათლებული, გონიერი, ავტორიტეტული, ყველასათვის სამაგალითოდ მიჩნეული ნიკოლოზ გულაბერისძისათვის მიუღებელი იქნებოდა უფლისწულ დემნასათვის სასჯელის ის ფორმა, რომელიც მას განუჩინეს: ძელზე გასმა და თვალების დათხრა. ვ. სილოგავამ ნიკოლოზ გულაბერისძის გადადგომაში კათოლიკოსობიდან, ანუ მის „სიმდაბლითა ჯმნაში“, კათოლიკოსის მკვეთრი პოზიცია დაინახა დემნა უფლისწულის სასტიკი დასჯის გამო (სილოგავა, 1990:92-93). უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე წინააღმდეგი არ იყო თამარის გამეფებისა, რასაც ადასტურებს თამარის მეორედ გამეფებისას იერუსალიმიდან პატრიარქეოფილის გამოწვევა და მისი შემდგომი ქმედება – თანადგომა ახალგაზრდა მეფე ქალისადმი, მაგრამ მას ისეთი გავლენა არ ექნებოდა სასულიერო პირთა რეაქციულ წრეში, რაც მიქაელ მირიანის ძეს ჰქონდა, ხოლო ეს წრე რომ არსებობდა, ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს. ამიტომ ნიკოლოზ გულაბერისძეს, შესაძლოა, გასჭირვებოდა უმრავლესობის დათანხმება ქალის გასამეფებლად. თუმცა უკვე სხვა გზაც არ იყო, ბაგრატიონთა საგვარეულოში თამარი იყო ტახტის ერთადერთი მემკვიდრე. თანხმობის მიუცემლობა სახელმწიფოს კრიზისს უქადდა და შეიძლებოდა სერი-

ოზული კონფლიქტის საფუძველიც გამხდარიყო, საშინაო საქმეებში არეულობა შეეტანა, ან სულაც დინასტიის ცვლამდეც მისულიყო საქმე, რაც, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, უსისხლოდ არ ჩაივლიდა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ გულაბერისძემ საკუთარი ნებით დატოვა კათოლიკოსობა სახელმწიფოში შექმნილი მძიმე, ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის გამო. მან თავადვე ამჯობინა, გასცლოდა კათოლიკოსობას, სამეფო კარს და საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში წასულიყო სამოღვაწეოდ. ცხადია, ეს ფაქტი ისტორიკოსის მიერ საკუთრივ კანონზომიერად შეფასდა „სიმდაბლით ჯმნად“, რაც მისი მაღალი ზნეობის მოწმობად მიიჩნია. იგი მხარში ედგა მეფე გიორგი მესამეს დემნას აჯანყების ჩახშობამდე. მაგრამ როდესაც მეფეს დასჭირდა, ნიკოლოზმაც მის სურვილს, უფრო მეტად კი, შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ანგარიში გაუწია და გადადგა კათოლიკოსობიდან, რათა უნებლიეთ ხელი არ შეეშალა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგებისა და თამარის გამეფებისათვის. თუმცა, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისტორიკოსის სიტყვები „სიმდაბლითა ჯმნა“ რაიმე შეფარულ აზრს არ შეიცავდეს და ნიკოლოზი საკუთარი სულიერი მოთხოვნილებიდან თუ მდგომარეობიდან გამომდინარე გადამდგარიყო კათოლიკოსობიდან.

თუ პირუთვნელად შევაფასებთ ნიკოლოზ გულაბერისძის კათოლიკოსობიდან გადადგომას, იგი რეგრესული მოვლენა იყო საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან მის შემდგომ საკათოლიკოსო ტახტს დაეუფლა რამდენიმე უმთავრესი სახელმწიფო სახელოს მიმტაცებელი პიროვნება, რომლის გადასაყენებლად ახლად გამეფებულმა თამარ მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია.

ნიკოლოზ გულაბერისძის 1177-1178 წლებში კათოლიკოსობიდან გადადგომის შემდეგ მისი საქმიანობა დაკავშირებულია ათონის ქართველთა მონასტერთან, სადაც იგი 1178 წელს ჩასულა, ხოლო 1183 წელს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში გადასულა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთელავა, 1983 – ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, თბ., 1983.

ანთელავა, 1983 – ი. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980.

ბერძენიშვილი, 1967 – ნ. ბერძენიშვილი, ათონის კრებულის რედაქცია, წიგნში: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1967.

ბერძენიშვილი, 1974 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VII, თბ., 1974.

ბერძენიშვილი, 1979 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IX, თბ., 1979.

გულაბერისძე, 1908 – ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ, ვ. კარბელაშვილის გამოც., ტფილისი, 1908.

გულაბერისძე, 2007 – ნიკოლოზ გულაბერისძე, თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, თბ., 2007.

ეკლესიის კალენდარი... 1976 – საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1976.

თაყაიშვილი, 1960 – ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

კარბელაშვილი, 2011 – პ. კარბელაშვილი, კათალიკოსნი და მღვდელთმთავარნი, მეორე გამოცემა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ბონდო არველაძემ, თბ., 2011.

კეკელიძე, 1960 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.

ლორთქიფანიძე, 1979 – მ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით აღამშენებელი. საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.

მესხია, 1979 – შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.

მესხია, 1986 – შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, თბ., 1986.

ნარკვევები, 1979 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.

საბინინი, 1882 – მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.

სამართლის ძეგლები... 1964 – ქართული სამართლის ძეგლები, II, ისიდორე დოლიძის გამოც., თბ., 1964.

სილოგავა, 1990 – ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, „მაცნე", ისტორიის სერია, 1990, №4.

სილოგავა, 2003 – ვ. სილოგავა, პატრიარქი X ს-ის საქართველოში (პარხლის წარწერა), წიგნში: ნათელი ქრისტესი, საქართველო, თბ., 2003, გვ. 298-303.

სილოგავა, 2010 – ვ. სილოგავა, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბ., 2010 (მეორე გამოცემა).

სურგულაძე, 2012 – მ. სურგულაძე, მეფე, კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, კრებ.: შრომები, VI, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბ., 2012.

სტეფნაძე, 1990 – ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი, თბ., 1990.

ტიპიკონი, 2006 – ღმრთისმსახურების წეს-განგებანი (ტიპიკონი), II, შეადგინა თაისი ტორონჯაძემ, თბ., 2006.

ქართლის ცხოვრება, 1959 – ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

ძეგლები, 1963/1964 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963/1964.

ჯავახიშვილი, 1982 – ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თხზ., VI, 1982.

ჯავახიშვილი, 1984 – ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თხზ., VII, 1984.

ჯავახიშვილი, 1977 – ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., VIII, თბ., 1977.

ჯავახიშვილი, 1983 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1983.

Nestan Sulava

NIKOLOZ GULABERISDZE- THE CATHOLICOS OF GEORGIA

Summary

Very little information is kept in historic sources about Nikoloz Gulaberisdze- Catholicos-Partiarc and ecclesiastic and public man of the II half of the XIIc.

Though the life and activity of Nikoloz Gulaberisdze has been studied in scientific literature many times, the problem requires to have studied again to define the period of his life and activity, and his place in the history of Georgian State and church, to show his mite in the history of Georgian writing.

This work presents only one period of his spiritual activity. It is namely the period from his youth till his resignation from the post of Catholicos. The research shows that it was Nikoloz Gulaberisdze's own decision to leave the post . It happened because of that heavy and difficult political situation in the country. He went to work in Georgian monasteries abroad. Historians evaluated his step as a sign of his high morality. Resignation from the post of Catholicos was a regressive event in eclessiastic and political life of Georgia.